



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 304
05/02/2018

ქალაქი ბათუმი

304-05-4-201802051343



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, დიდაჭარის ქ. №21-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილის, კერძოდ 75,20 კვ.მ საოფისე ფართის (ს/კ 22.26.09.269) ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სასაფლაოები“-ზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ა. ბაჭაშვილის 2018 წლის 30 იანვრის №272-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხელვაჩაურის სასაფლაოები“-ს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, დიდაჭარის ქ. №21-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილი, კერძოდ მეორე სართულზე მდებარე სამი ოთახი, სულ 75,20 კვ.მ საოფისე ფართი (ს/კ 22.26.09.269) მისი არსებობის პერიოდით.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების უფროსის დროებით შემცვლელს (გიორგი ბერიძე) მიენიჭოს უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გააფორმოს ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სასაფლაოები“-თან უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება, ხოლო მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილებამ (ანა ბაჭაშვილი) უზრუნველყოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

